განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა
სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: **26.12.2019**

დასკვნის წარდგენის თარიღი: **13.01.2020**

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	218076542
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
განათლებისსაფეხური	საბაკალავრო
მისანიჭებელიკვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი 0701
სწავლების ენა	ქართული
კრედიტებისრაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**მანანა ლობჟანიძე,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ეკა გეგეშიძე,** საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ნინო ტალიკაძე,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ,,ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2014 წლიდან. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია განხორციელდა 2014 წელს (აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 26 ნოემბრის N220 გადაწყვეტილება). „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი), ხოლო მოცულობა - 240 ECTS კრედიტი. ერთი სემესტრი მოიცავს 19 სასწავლო კვირას. სტუდენტის საშუალო წლიური დატვირთვა შეადგენს 60 კრედიტს (სემესტრში 30 კრედიტი).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

  - აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 26 დეკემბერს, გორში ჩერქეზიშვილის N1-ში. ვიზიტამდე 25 დეკემბერს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (მანანა ლობჟანიძე, ეკა გეგეშიძე, ნინო ტალიკაძე) 18 საათიდან და 20 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა მომდევნო დღეებში ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
  - 2019 წლის 26 დეკემბერს, აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 10 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (რექტორი, ვიცე-რექტორი), თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

,,ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია I, II, III, IV და V სტანდარტებთან.

- **რეკომენდაციები**

  - ინტერნაციონალიზაციის მიზნით მიზანშეწონილია დაწესებულებამ წაახალისოს სტუდენტები საერთაშორისო მობილობებში თუ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის კუთხით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - ,,წერითი და ზეპირი კომუნიკაცია“, ასევე ,,დარგობრივი ინგლისური“ არის სავალდებულო საგნები, მაშინ როდესაც შრომის ეკონომიკა არის არჩევითი საგანი. სასურველია ეკონომიკური პროფილის საგნები იყოს სავალდებულო ბლოკში, ხოლო წერითი და ზეპირი კომუნიკაცია და დარგობრივი ინგლისური გადავიდეს არჩევითი საგნების ბლოკში.
  - სასწავლო კურსის - ,,ეთიკური ეკონომიკის“ წინაპირობაა მაკროეკონომიკის პრინციპები, რომელსაც არ არის სავალდებულო წინაპირობა ქონდეს. სასურველია ,,ეთიკური ეკონომიკის“ ნაცვლად, ,,ქცევითი ეკონომიკა“ იყოს პროგრამაში, რაც უფრო გაამდიდრებდა პროგრამას.
  - სასურველია სილაბუსში ცალკეული თემების მიხედვით მითითებული იყოს ცალკეული თემის მიხედვით სავალდებულო ლიტერატურის გვერდები, რაც სტუდენტისთვის მეტად გასაგებს გახდიდა განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც სილაბუსში ერთზე მეტი სავალდებულო ლიტერატურაა მითითებული.
  - სტუდენტების სურვილია ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტებით გაძლიერება.
  - სასურველია, უნივერსიტეტისა და დამსაქმებელთა აქტიური მონაწილეობით დასაქმების ფორუმების, ვორქშოფების ორგანიზება, სტუდენტთა სტაჟირებებისა და კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციით დასაქმების უზრუნველსაყოფად.
  - სასურველია, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ფუნქციონალური გაუმჯობესება.
  - მიზანშეწონილია, სასწავლო პროცესების მთლიან და ერთიან სისტემაში (სასწავლო პროცესის მართვის სისტემა) გაერთიანება და მისი ავტომატიზირება.
  - სასურველია არსებული რესურსების იმგვარად დივერსიფიკაცია, რომ რესურსების შეზღუდულობის პირობებში აკადემიურ აქტივობების მხარდაჭერა განხორციელდეს როტაციის პრინციპით.
  - მიზანშეწონილია, შემუშავდეს უსდ და პროგრამის მარკეტინგის სტრატეგია, გამოიყოს ბიუჯეტში მარკეტინგზე დანახარჯები და რათა მოხდეს უნივერსიტეტის პოპულარიზაცია და მისი ბრენდის კაპიტალის შექმნა, რაც გაიზრდის ბრენდისადმი ლოიალურობას და ამას მოჰყვება სტუდენტთა რაოდენობის და ეკონომიკური შემოსავლების ზრდა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტირებულია 2014 წლიდან. პროგრამაში გამოყოფილია ძირითადი მიზანი, რომელიც ემსახურება სოციალური მეცნიერების ბაკალავრის მომზადებას ეკონომიკის სპეციალიზაციით. **პროგრამის მიზანია:** მოამზადოს შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც ექნება თანამედროვე ეკონომიკური კონცეფციებისა და მოდელების ფართო ცოდნა, ეკონომიკის თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრებისა და ეკონომიკის კომპლექსური საკითხების გაცნობიერების უნარი. პროგრამის გავლის შედეგად, **პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს** საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ეკონომიკის სფეროში მიმდინარე პროცესების გაცნობიერებას, გაანალიზებას, შეფასებასა და პრიორიტეტების ადეკვატურად განსაზღვრას, არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბებას და დარგობრივი პრობლემის ალტერნატიული მიდგომებისა შემუშავებას. ამასთანავე პროგრამაში წარმოდგენილია, რომ **საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს** სტუდენტისათვის მოქალაქეობრივი თვითშეგნების ფორმირებასა და დემოკრატიული ღირებულებების, ეთიკური და პროფესიული პასუხისმგებლობის ნორმების ჩამოყალიბებას. კრეატიული და კრიტიკული აზროვნება უზრუნველყოფს სტუდენტის კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე, ასევე განაპირობებს სტუდენტის მზაობას მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად. სწავლების მიზნები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 საფეხურს, რომელის საფუძველზეც საბაკალავრო პროგრამა უნდა ახდენდეს სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ფართო (სრული ზოგადი განათლების შემდგომი) ცოდნას, თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და ცოდნის ზოგიერთ უახლეს ასპექტს. ამასთანავე სფეროსთვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვებას და განმარტებას, ასევე განყენებული მონაცემების ან/და სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით. ასევე პროგრამის მიზანი სრულად გააზრებული აქვს უნივერისტეტის ხელმძღვანელობას, აკადემიურ და დამხმარე პერსონალს. პროგრამაზე ინფორმაცია სრულად არის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ვებ გვერდზე დაინტერესებული პირი ამომწურავად შეიძლება გაეცნოს პროგრამას, კურიკულუმს,

საგნების აღწერას, სასწავლო განრიგს, მიღების წესს. იქვეა წარმოდგენილი სხვა პირობებიც,http://www.gu.edu.ge/ge/.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისია; • შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; • ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია; • ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, თვითშეფასების ჯგუფთან და უნივერისტეტის ადმინისტრაციასთან; • სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში):
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

1.2პროგრამის სწავლის შედეგები
თვითშეფასების ანგარიშით, დაინტერესებული მხარეების ინტერვიუებით ირკვევა, რომ პროგრამის შედეგების შემუშავებაში ჩართული იყო - აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მონაწილეობით. გათვალისწინებული იყო დარგის სპეციფიკა და შრომის ბაზრის მოთხოვნები. პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმებასა და განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს კვალიფიკაციათა აღმწერით უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის შედეგების მიმართ გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, არის გაზომვადი, და მიღწევადი.

პროგრამის შეფასების ჯგუფი, იქმნება ფაკულტეტის დეკანის განკარგულებით, რომელშიც ჩართულია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, პროგრამის შეფასების ჯგუფში ჩართული უნდა იყვნენ პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, აგრეთვე პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება, როგორც პირდაპირი ასევე არა პირდაპირი მეთოდებით, რომელიც დეტალურადაა გაწერილი, სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-20 დადგენილებაში „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“. შედეგები ითვლება სხვადსხვა ინდიკატორებით შედეგების შეფასებას. მექანიზმებში გაწერილია სამიზნე ნიშნულები, რომელიც შეადგენს 70%. ამასთანავე შეფასების ციკლის ბოლო ეტაპზე წარმოდგენილია ცვლილებისა და რეკომენდაციების შემუშავების და მისი განხორციელების მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგის გაუმჯობესებას სასწავლო კურსისა და პროგრამის დონეზე. ის ასევე უზრუნველყოფს უკუკავშირს სასწავლო კურსებისა და პროგრამის უწყვეტი განვითარებისათვის. შეფასების შედეგები მსჯელობის საგანია ფაკულტეტის ფარგლებში, რასაც თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. შეფასების ანგარიში, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შეფასების მექანიზმით განსაზღვრულ მოთხოვნებს, წარედგინება ფაკულტეტის დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს სათანადო რეაგირებისათვის. შეფასების შეგდების საფუძველზე ფაკულტეტზე მიმდინარეობს მიზანმიმართული მსჯელობა/მუშაობა შემდეგი თანმიმდევრობით: • <u>რა</u> უნდა შეიცვალოს: საჭიროა სასწავლო კურსში სპეციფიური მასალის ჩართვა თუ საკმარისია არსებული მასალის კონკრეტული ნაწილის გაფართოება (ან შეკვეცა)? • <u>სად</u> უნდა შეიცვალოს: საჭიროა სპეციფიური მასალის შეთავაზება სპეციალური სასწავლო კურსის სახით თუ უმჯობესია ამ მასალის გადანაწილება პროგრამის სხვადასხვა სასწავლო კურსებში; • <u>როგორ</u> უნდა შეიცვალოს: საჭიროა ძირითადი სასწავლო კურსების ადრეულ სემესტრებში გადატანა თუ უმჯობესია სტუდენტისათვის ამ კუთხით მეტი თავისუფლების მინიჭება; • <u>სწავლის შედეგის ცვლილება</u>: შეფასების შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სწავლის შედეგის მოდიფიცირების საჭიროება; • <u>შეფასების კრიტერიუმის ცვლილება</u>: შეფასების შედეგად შესაძლებელია დადგინდეს შეფასების კრიტერიუმის მოდიფიცირების საჭიროება. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. ადგილზე არსებობს პროგრამის შეფასების მექანიზმები, რომელიც ფიზიკურად ხორცილდება და შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, თვითშეფასების ჯგუფთან და უნივერისტეტის ადმინისტრაციასთან; • ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო

პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; • საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკა; • სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-20 დადგენილება); • განხორციელებული შეფასების შედეგები; • პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა- ეკონომიკა 2019.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისებისშეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან პირი, რომელიც აკმაყოფილებს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ან მობილობით ჩარიცხვისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებს. ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია დაწესებულების მიერ დადგენილ ვადებში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, არის სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი. სათანადო ინფორმაცია განთავსებულია სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში, ფაკულტეტზე, ბიბლიოთეკაში. პერიოდულად, დაინტერესებული პირებისათვის პროგრამის ხელმძღვანელი ატარებს პრეზენტაციას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; • სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება

✓**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი), ხოლო მოცულობა - 240 ECTS კრედიტი. (1 ECTS კრედიტი = 25 საათი). ერთი სემესტრი მოიცავს 19 სასწავლო კვირას. სტუდენტის საშუალო წლიური დატვირთვა შეადგენს 60 კრედიტს (სემესტრში 30 კრედიტი). ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 240 ECTS კრედიტიდან: 180 კრედიტი ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსებზე მოდის, აქედან 160 კრედიტი სავალდებულო კურსებია, ხოლო 20 კრედიტი - სპეციალობის არჩევით კურსებს აქვს დათმობილი; სპეციალობის არჩევით კურსებს სტუდენტი ირჩევს ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით შეთავაზებული სასწავლო კურსებიდან; სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები ორიენტირებულია სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში შეძენილი ცოდნის გაფართოებაზე სტუდენტის ინტერესების შესაბამისად; სპეციალობის სავალდებულო კურსების ძირითადი ნაწილი ორიენტირებულია ეკონომიკის სფეროში არსებული თეორიებისა და პრინციპების, სფეროსათვის დამახასიათებელი და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის შესახებ ფართო ცოდნის მიცემაზე, სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერების ხელშეწყობაზე, პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების პროცესში სფეროს ფარგლებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარის სტიმულირებაზე, პროფესიული

საქმიანობისათვის აუცილებელი ღირებულებების ფორმირებაზე;
სასწავლო კურსები - „ფილოსოფიის შესავალი“, „წერითი და ზეპირი კომუნიკაციები“, „კომპიუტერული უნარ-ჩვევები“, „ფსიქოლოგიის საფუძვლები“, „სოციოლოგიის საფუძვლები“,“კულტუროლოგია“ ორიენტირებულია სტუდენტის მსოფლმხედველობის გაფართოებაზე, მოქალაქეობრივი და პროფესიული ღირებულებების ფორმირების ხელშეწყობაზე, წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე და ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და გადაცემის მიზნით საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარის გამომუშავებაზე;

ინგლისური ენის კომპონენტი ორიენტირებულია ინგლისური ენის შესაწავლაზე და ამ ენაზე კომუნიკაციის უნარის განვითარებაზე, ინგლისურენოვანი წყაროების სწავლისა და სწავლების პროცესში ფართოდ გამოყენებაზე, საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ელემენტის გაძლიერებაზე; ინგლისური ენის 20 კრედიტიანი სავალდებულო კომპონენტი მიზნად ისახავს ინგლისური ენის B1.1(pre-intermediate) დონიდან (ენების საერთო ევროპული ჩარჩოს (**CEFR**) შესაბამისად) B2/1(Intermediate) დონის მიღწევას. სტუდენტი, რომელიც ვერ ფლობს ინგლისურ ენას A2(Elementary) დონეზე, მისი ინგლისური ენის ფლობის დონის გათვალისწინებით სასწავლო უნივერსიტეტის უცხო ენების კათედრის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ინგლისური ენის კომპონენტის შესწავლას იწყებს A1(Elementary) ან A2(Elementary) დონიდან. აღნიშნული სასწავლო კურსების/კურსის გავლა სტუდენტს შეუძლია დამატებითი სპეციალობისათვის ან საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსებისათვის გათვალისწინებული კრედიტების ფარგლებში.

60 კრედიტის მოცულობით სტუდენტს შეუძლია აირჩიოს მეორე (Minor) სპეციალობა ან სასწავლო კურსები სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამიდან. კურსების არჩევანის შეზღუდვას წარმოადგენს მხოლოდ სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები და შეთავაზების სემესტრი (შემოდგომა, გაზაფხული);

აღნიშნული კურსები სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს, მისი ინტერესების შესაბამისად, დაეუფლოს დამატებით ცოდნას სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში.

პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით, რომელშიც სასწავლო კურსების ქრონოლოგიური წყობა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს სასწავლო კურსებს შორის ლოგიკურ კავშირს და შინაარსის განვითარებას ზოგადიდან კონკრეტულისაკენ, მარტივიდან უფრო რთულ საკითხებამდე. პროგრამის შემდგომ სასწავლო კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ადეკვატურია, ისინი განსაზღვრულია კომპონენტის შესაბამისი სილაბუსით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის და ყველა დაინტერესებული პირისათვის.

პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები, მათი მიზნები, კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება, დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები, შინაარსი, სწავლისა და სწავლების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, შესაბამისობაშია სწავლების საფეხურთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-12 დადგენილება);
- პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის მტკიცებულებები;
- ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკა;
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- ,,წერითი და ზეპირი კომუნიკაცია", ასევე ,,დარგობრივი ინგლისური" არის სავალდებულო საგნები, მაშინ როდესაც შრომის ეკონომიკა არის არჩევითი საგანი. სასურველია ეკონომიკური პროფილის საგნები იყოს სავალდებულო ბლოკში, ხოლო წერითი და ზეპირი კომუნიკაცია და დარგობრივი ინგლისური გადავიდეს არჩევითი საგნების ბლოკში.
- სასწავლო კურსის - ,,ეთიკური ეკონომიკის" წინაპირობაა მაკროეკონომიკის პრინციპები, რომელსაც არ არის სავალდებულო წინაპირობა ქონდეს. სასურველია ,,ეთიკური ეკონომიკის" ნაცვლად, ,,ქცევითი ეკონომიკა" იყოს პროგრამაში, რაც უფრო გაამდიდრებდა პროგრამას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

შეფასება

✓**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის

შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ორიენტირებულია სტუდენტის მიერ სოციალური მეცნიერებების ბაკალავრისათვის აუცილებელი ცოდნის შეძენასა და სათანადო უნარების გამომუშავებაზე. საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკა ნათლად მიუთითებს, რომ ძირითადი სპეციალობის ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს, რომლებიც, თავისმხრივ, შესაბამისობაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს კვალიფიკაციათა აღმწერით უმაღლესი განათლების პირველი საფეხურისათვის განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) მითითებულია პროგრამის სასწავლო გეგმაში და სასწავლო კურსის სილაბუსში და შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა განსაზღვრულია კურსის სპეციფიკის, მისი სწავლის შედეგების გათვალისწინებით; სასწავლო კურსით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების რაოდენობა და სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი, ლაბორატორია და სხვა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. აღნიშნული შესაბამისობის გადამოწმება ხორციელდება ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტებისა და სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის, ასევე ამ სასწავლო კურსში სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის გზით. სასწავლო კურსით გათვალისწინებული და შესაბამის სილაბუსში მითითებული სტუდენტის ცოდნისა და უნარების შეფასების მეთოდები უზრუნველყოფს სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებას. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, ითვალისწინებს ეკონომიკის აქტუალურ მიღწევებს და უზრუნველყოფს თანამედროვე მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას. სასწავლო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ონლაინ–კატალოგის (OPAC) სერვისი, უზრუნველყოფილია პროგრამის სტუდენტებისა და პერსონალისათვის საერთაშორისო საბიბლიოთეკო ელექტრონულ ბაზებზე წვდომის შესაძლებლობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამის კურუკულუმის რუკა;
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 ნოემბრის N09-57 დადგენილება);
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.
- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა.
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: სასურველია სილაბუსში ცალკეული თემების მიხედვით მითითებული იყოს ცალკეული თემის მიხედვით სავალდებულო ლიტერატურის გვერდები, რაც სტუდენტისთვის მეტად გასაგებს გახდიდა განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც სილაბუსში ერთზე მეტი სავალდებულო ლიტერატურაა მითითებული.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება **✓შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.4პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი: საგანმანათლებლო პროგრამა, მისი კომპონენტები უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში, აგრეთვე პროგრამის კურიკულუმის რუკაში. საგანმანათლებლო პროგრამის ყველა დარგობრივი საკვანძო კურსით გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ ამ კურსის ფარგლებში საკურსო ნაშრომის/პროექტის შესრულება და დაცვა, რომელიც გულისხმობს პრობლემური საკითხის გადაწყვეტას ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. ამასთან ერთად, პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას სხვადასხვა პროექტებში, მათ მონაწილეობას კათედრებთან/სამეცნიერო ცენტრებთან არსებულ სტუდენტურ სამეცნიერო წრეებში და სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში; ამ მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტში ყოველ სემესტრში ტარდება საუნივერსიტეტო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია. სტუდენტები მონაწილეობას იღებენ აგრეთვე საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად ჩატარებულ სტუდენტთა საუნივერსიტეტთაშორისო კონფერენციებში. სასწავლო უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების მიერ პრაქტიკული და ტრანსფერული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და

განვითარებას მათთვის სტაჟირების განხორციელებით. სტუდენტთა ტრანსფერული უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული აგრეთვე კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივები, რომლებიც ვლინდება სტუდენტთა მონაწილეობით განხორციელებული სხვადასხვა ლიტერატურული, კულტურული, ინტელექტუალური, სპორტული და საქველმოქმედო ღონისძიებების მხარდაჭერაში. სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური სამეცნიერო პროექტების მხარდაჭერის მექანიზმი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკა; • პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები; • ინფორმაცია სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში პროგრამის სტუდენტთა მონაწილეობის თაობაზე. • სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პერსონალისა და სტუდენტების ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 09 ნოემბრის N09-46 დადგენილება).
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის :
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება ✓**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.5სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის

შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში, მისი თავისებურებიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლების/სწავლის ის მეთოდები და აქტივობები, რომლებიც განაპირობებენ ამ კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევას, ხოლო მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულია სწავლება-სწავლის სტუდენტზე ორიენტირებული მრავალფეროვანი მეთოდები, როგორიცაა სალექციო, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, ასევე აქტივობები - დემონსტრირება, წიგნზე (სახელმძღვანელოზე) მუშაობა, დისკუსია, სავარჯიშო, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, აგრეთვე, სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, სწავლის შედეგების მისაღწევად შესაძლებელია სწავლების/სწავლის სხვა მეთოდების/აქტივობების გამოყენებაც. საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამაც. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული სწავლების/სწავლის მეთოდები/აქტივობები კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ლექტორის მიერ აისახება შესაბამის სილაბუსში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები; • სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დასამტკიცებლად წარდგენის წესი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება ✓**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, რაც ასახულია სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. შეფასების პროცედურები არის სამართლიანი, გამჭვირვალე და შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ასახულია პროგრამის აღწერით ნაწილში, ხოლო შეფასების კონკრეტული კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას, შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს და განსაზღვრულია შესაბამისი სილაბუსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტის მიერ კრედიტის ათვისება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება შეფასების სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით. სტუდენტებისათვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები. შეფასების პროცესით უზრუნველყოფილია სტუდენტის ინფორმირება შეფასების შედეგების, საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეების თაობაზე. შეფასების წესით გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; • ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები; • სასწავლო პროცესის მართვის სისტემა; • სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 ნოემბრის N09-57 დადგენილება); • სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ▪ სტუდენტების სურვილია ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის

პრაქტიკული კომპონენტებით გაძლიერება. ▪ კურსდამთავრებულების სურვილია მეტი ეკონომიკური საგანი იყოს ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება **✓შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე,აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტი უზრუნველყოფილია სასწვლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე და დასაქმებაზე სათანადო ინფორმაციით. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით სტუდენტები ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისგან იღებენ აუცილებელ კონსულტაციებს. ინფორმაცია სსხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების (მაგალითად, დაგეგმილი კონფერენციების, შიდასაუნივერსიტეტო და სხვადასხვა ფონდის მიერ დაწესებული/გამოცხადებული სტიპენდიების, გაცვლითი პროგრამების და სხვ.) შესახებ სტუდენტები იღებენ უნივერსიტეტის ვებ გვერდიდან, ფაკულტეტის დეკანატიდან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიდან და ა.შ. თუმცა, სტუდენტთა აქტიურობა ამ მიმართულებით არ არის მაღალი. საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ ერთი სტუდენტი იმყოფებოდა გაცვლითი პროექტის ფარგლებში ვარნასმენეჯმენტის უნივერსიტეტში (ბულგარეთი). სტუდენტთა ცოდნის შეფასების მიზნით ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში ფიქსირდება შეფასების ფორმები და ინსტრუმენტები. სილაბუსებში ასევე, მითითებულია სტუდენტებთან კონსულტაციისთვის განკუთვნილი კონკრეტული დღე და დრო. სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები გათვალისწინებულია პერსონალის დატვირთვაში. ამასთან, კომუნიკაცია შეიძლება განხორციელდეს ელექტრონული ფოსტის ან სოციალური ქსელის დახმარებითაც. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელი სხვა ინფორმაცია სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მართვის სისტემით გათვალისწინებულ სტუდენტის პირად ვებ-სივრცეში. სტუდენტებთან გასაუბრებიდან გამომდინარე, ისინი ისურვებდნენ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა პროცესი, მაგალითად, ყოველი ახალი სასწავლო სემესტრის დასაწყისში საგნების არჩევა, გახდეს ავტომატიზირებული და სხვ. ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დასტურდება, რომ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი სტუდენტების სერვისის გასაუმჯობესებლად და კმაყოფილების გასაზრდელად ყოველ სემესტრულად ატარებს სტუდენტთა გამოკითხვას, შესაბამისად, ცდილობს გაითვალისწინოს მათი რჩევები და რეკომენდაციები. აღსანიშნავია, რომ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახური, რომლის მიზანია სტუდენტთა კარიერული განვითარების მხარდაჭერა. თუმცა, როგორც აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშიდან, ისე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებიდან გამომდინარე მათი დასაქმების მაჩვენებელი კვალიფიკაციის შესაბამისად არის მცირე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: • აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში • სასწავლო კურსების სილაბუსები • სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ფორმები • ინტერვიუს შედეგები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • სასურველია, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ფუნქციონალური გაუმჯობესება. • სასურველია, უნივერსიტეტისა და დამსაქმებელთა აქტიური მონაწილეობით დასაქმების ფორუმების, ვორქშოფების ორგანიზება, სტუდენტთა სტაჟირებებისა და კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციით დასაქმების უზრუნველსაყოფად. • ინტერნაციონალიზაციის მიზნით სასურველია დაწესებულებამ წაახალისოს სტუდენტები საერთაშორისო მობილობებში თუ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის კუთხით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება **✓შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

3.2მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	✓			

4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია აკადემიური პერსონალის 18 წარმომადგენელი (მათ შორის 11 პროფესორი, 7 ასოცირებული პროფესორი) და 4 მოწვეული პერსონალი. აღსანიშნავია, რომ 18 პროფესორიდან 17 აფილირებულია უნივერსიტეტში. აკადემიურ პერსონალს აკადემიური თანამდებობები დაკავებული აქვთ კონკურსის წესით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო მოწვეული სპეციალისტების პროგრამაში ჩართვა ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პროგრამის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. აკადემიური და მოწველი პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათი სამუშაო გამოცდილებით, შესაბამისი წაკითხული კურსებით, შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით და/ან პრაქტიკული საქმიანობით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა შესაბამისობაშია „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიასთან“. აღსანიშნავია, რომ -აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით არის 17/45, - აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით 22/45, -აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან 18/4, რაც ძალიან სახარბიელო მაჩვენებელია, საქართველოში არსებულ სხვა უნივერსიტეტებთან მიმართებაში. ასევე დაბალია აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ:პენსიაზე გასულთა რაოდენობა, დაწესებულებიდან წასულთა რაოდენობა, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.) რომელიც შეადგენს ½, და მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ:პენსიაზე გასულთა რაოდენობა, დაწესებულებიდან წასულთა რაოდენობა, ახალი პერსონალის

რაოდენობა და ა.შ.) არის 1/1.
აღნიშნული მონაცემები გვაძლევს დასკვნის საფუძველს, რომ აკადემიურ პერსონალს აქვს დრო სამეცნიერო მუშაობისა და პირადი განვითარებისთვის, რომლის მაჩვენებლებიც ასევე საკმაოდ მაღალია. ბოლო 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო პროდუქტიულობა შემდეგნაირია:

პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში)	688 (მოხსენება, პუბლიკაცია, ტრენინგები და ა.შ.)
ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები	8
საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები	37
ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები	78
საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები	236
სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები	329 (ტრენინგები, პროექტები, სტუდენტთა სამეცნიერო ხელმძღვანელობა)

საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალი სწავლების გარდა ჩართულია სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.
პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი განათლებით, მდიდარი პრაქტიკული გამოცდილებით და საერთაშორისო რეფერირებად და მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში სამეცნიერო ნაშრომებით. პროგრამის ხელმძღვანელები მონაწილეობენ პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ისინი ჩართულები არიან პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. მათი ფუნქციები განსაზღვრულია დებულებით სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ.
პროგრამის განხორცილებაში ჩართულია 8 დამხმარე პერსონალი.
ყოველივე იძლევა საშულებას, რომ დავასკვნათ პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობის, შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, თვითშეფასების ჯგუფთან და უნივერისტეტის ადმინისტრაციასთან;
- აკადემიური საბჭოს დადგენილება „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა და აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის გარეშე სასწავლო ან/და სამეცნიერო კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულ სპეციალისტთა სამსახურში მიღების ერთიანი წესის, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების დამტკიცების შესახებ“;
- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები და საკონკურსო მასალები;
- მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;

- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-18 დადგენილება);
- სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დებულება;
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- დებულება სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლოპროგრამისხელმძღვანელის შესახებ (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-13 დადგენილება);
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს აქვს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას და განვითარების ქმედითი მექანიზმები. შეფასების შედეგებს იყენებს პერსონალის პროფესიული განვითარების, აგრეთვე წახალისების მიზნით. აღნიშნული შეფასება ხორციელდება „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის“ (დადგენილება #09-19) შესაბამისად, რომელიც მოიცავს როგორც მათი სასწავლო ასევე კვლევითი საქმიანობის შეფასებას. აკადემიური პერსონალის შეფასების კომპონენტები შემდეგნაირია:

- აკადემიური პერსონალის თვითშეფასების ანგარიში
- მიმდინარე წლის განმავლობაში განხორციელებული სასაწავლო კურსების შეფასებები,
- მეცადინეობები შეფასებები
- კოლეგიალური შეფასებები

მოწვეული პერსონალის კომპონენტები კი შემდეგნაირი:

- მიმდინარე წლის განმავლობაში განხორციელებული სასაწავლო კურსების შეფასებები,
- მეცადინეობები შეფასებები
- კოლეგიალური შეფასებები

დადგენილებაში მოცემულია შეფასების ფორმებიც კომპონენტების მიხედვით.

უსდ-ში კვლევის და განვითარების პოლიტიკა ითვალისწინებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო კვლევების წარმოების ხელშეწყობასა და მხარდაჭერას, კვლევითი საქმიანობის უწყვეტ განვითარებას, სასწავლო პროცესში კვლევების ინტეგრაციას. აკადემიური პერსონალი აქტიურია კვლევების და საერთაშირისო გაცვლითი პროგრამების მიმართ.

სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები - ტარდება საუნივერსიტეტო და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, სემინარები, ტრენინგები, ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის სამეცნიერო პროექტების, მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების გამოცემის დაფინანსება, სამეცნიერო ნაშრომების პუბლიკაციებისა და სამეცნიერო ხასიათის ღონისძიებებში მათი მონაწილეობის ფინანსური მხარდაჭერა შესაძლებლობის ფარგლებში. პროგრამაში ჩართული პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში, საერთაშორისო პროექტებში - უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში პროგრამაში ჩართულმა ორმა პროფესორმა Erasmus+ პროექტის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო გაცვლით პროგრამებში. ერთიპროფესორიამერიკისსაელჩოსპროექტის- მედიაგანათლებისპროგრამა- ფარგლებშიიმყოფებოდაჩიკაგოს,ლაიოლასდადეპოლისუნივერსიტეტებში, აგრეთვეპროგრამისსტუდენტებთანერთადმონაწილეობდაპროექტშიMercy Corps Alliances Lesser Caucasus Programme (JRC Journalism ResourseCenter); ერთიპროფესორიიმყოფებოდა**Tempus 1-2013-1-PT JPCR** **“**პროექტისფარგლებშისტაჟირებაზეესპანეთში- ჟირონასსახელმწიფოუნივერსიტეტში, ერთიპროფესორიიმყოფებოდასაერთაშორისოკონფერენციებზერიგასადავენაში; ერთმაასოცირებულმაპროფესორმამოიპოვაგრანტიევროკომისიისგაცვლითიპროგრამის, ErasmusMundus Action 2 (Mobility) ფარგლებში, ბასკეთისუნივერსიტეტში; ერთიპროფესორიიმყოფებოდაგაცვლითიპროგრამითპოლონეთში-Opole Poytechnical University(Poland).

უნივერისტეტის ბიუჯეტის შესაძლებლობის ფარგლებში დამატებით მხარდაჭერილია კვლევითი აქტივობები. უსდ ზრუნავს აკადემიური პერსონალის განვითარებაზე. უნივერსიტეტის რესურსები მწირია თუმცა შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობს მაქსიმალურად ხელი შეუწყოს აკადემიურ პერსონალს განვითარებაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციების საფუძველზე ირკვევა, რომ საერთაშორისო ან ადგილობრივი მივლინებებით სარგებლობენ ერთიდაიგივე პირები, კარგი იქნება თუ მოხდება აღნიშნული რესურსების იმგვარად დივერსიფიკაცია, რომ რესურსების შეზღუდულობის პირობებში აკადემიურ აქტივობების მხარდაჭერა განხორციელდეს როტაციის პრინციპით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, თვითშეფასების ჯგუფთან და უნივერისტეტის ადმინისტრაციასთან; • სიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-19 დადგენილება); • სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების სამეცნიერო აქტივობის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-22 დადგენილება); • სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში კვლევის განვითარების პოლიტიკის, კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების მექანიზმი (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 ნოემბრის N09-54 დადგენილება); • სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესორის ატესტაციის ჩატარების წესი (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-15 დადგენილება); • პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები; • პროგრამის პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგების საფუძველზე პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები • აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები (ტრენინგები, სამუშაო მივლინებები, კონფერენციები, გაცვლითი პროექტები, რომლებიც ემსახურება პროფესიულ და/ან სწავლების უნარის განვითარებას); • სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პერსონალისა და სტუდენტების ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 09 ნოემბრის N09-46 დადგენილება); • პროგრამის პერსონალის პირადი საქმეები; • საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • წარმოდგენილი დოკუმენტაციების საფუძველზე ირკვევა, რომ საერთაშორისო ან ადგილობრივი მივლინებებით სარგებლობენ ერთი და იგივე პირები, კარგი იქნება თუ მოხდება აღნიშნული რესურსების იმგვარად დივერსიფიკაცია, რომ რესურსების შეზღუდულობის პირობებში აკადემიურ აქტივობების მხარდაჭერა განხორციელდეს როტაციის პრინციპით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსები ეკონომიკის პროგრამის მიმართულებით საქართველოს სხვა უნივერსიტეტებთან შედარებით გამოირჩევა კონკურენტული უპირატესობით. გორში ჯერ კიდევ 1876 წლის 12 სექტემბერს გაიხსნა ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარია, ხოლო მოგვიანებით 1935 წელს გაიხსნა ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი, რომელიც 1939 წელს გადაკეთდა გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტად ოთხწლიანი სწავლებით, ხოლო 1985 წლიდან იყო სპეციალიზებული მხოლოდ ეკონომიკური მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს შენარჩუნებული აქვს ძველი წიგნადი ფონდი და სხვა მნიშვნელოვანი რესურსები. ამასთანავე უსდ ზრუნავს მუდმივ განვითარებაზე, იძენს თანამედროვე ლიტერატურას, სასწავლო რესურსებს და აღჭურვილობას. ინფრასტრუქტურა შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესის წარმართვისა და სხვა აქტივობებისათვის.
ბიბლიოთეკა განთავსებულია 4 კორპუსში, მათგან სამში - წიგნსაცავით. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზები და ოთახები აღჭურვილია აუცილებელი ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა (კომპიუტერებით, პრინტერებით, ქსეროქსებით, სკანერებით) და ინტერნეტით. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი განსაზღვრულია სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულებით.ბიბლიოთეკაში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. წიგნადი ფონდი - 307 826 ერთეულს მოიცავს, რაც აღრიცხულია საინვენტარო წიგნებში. ბიბლიოთეკაში არსებობს სრულყოფილი კატალოგი ქაღალდზე (ანბანური და სისტემატური), ასევე ელექტრონული სახით (ინტეგრირებული საბიბლიოთეკო პროგრამა "Openbiblio").
ბიბლიოთეკაში სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პერსონალს ემსახურება კომპეტენტური პერსონალი.
სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს, რაც ასევე ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სასწავლო უნივერსიტეტის ზემოთ მითითებული მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის სტუდენტებისა და პერსონალისთვის. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ბიბლიოთეკის პერსონალთან, სტუდენტებთან და უნივერისტეტის ადმინისტრაციასთან;
- ვიზიტის დროს რესურსების ვიზუალური დათვალიერება;
- ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- შესაბამისი კომპიუტერული უზრუნველყოფის მქონე კომპიუტერული ლაბორატორიები;
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი და არაწიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ლიტერატურასთან;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმების დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის N09-65 დადგენილება;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.4პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამის შემოსავლები და ხარჯები ინტეგრირებულია სასწავლო უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაში ჩართული პერსონალის შრომის ანაზღაურებას, მათი პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების შეძლებისდაგვარად დაფინანსებას, ასევე მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, სავალდებულო ლიტერატურის და სხვა სასწავლო მასალის შეძენის ხარჯებს. შესაბამისი ფინანსური რესურსები გამოყოფილია ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში, რაც ეკონომიკურად მიღწევადია და განაპირობებს საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსურ მდგრადობას სხვა პროგრამებთან ინტეგრაციაში. ამასთან ერთად, სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა, რომელიც მოიცავს დაწესებულების საქმიანობის ყველა სფეროს, ითვალისწინებს ბიზნეს პროცესების აღდგენას კრიზისულ სიტუაციებში და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის უწყვეტ ფუნქციონირებას. დოკუმენტში განსაზღვრულია და შეფასებულია ბევრი რისკი მათ შორის სტუდენტის მიერ სწავლის გადასახადის ვერ შემოტანის, თუმცა არ არის აბიტურიენტის მიერ უსდ-ს არ არჩევის რისკი ანუ, სტუდენტთა ნაკადების შემცირების რისკი არ არის გათვალისწინებული. შესაბამისად ბიუჯეტში არ არის ამ რისკის შემარბილებელ ფაქტორებზე დანახარჯები. სწორედ ეს რისკი წარმოადგენს უნივერსიტეტის და პროგრამის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს. ამჟამად პროგრამა ფუნქციონირების სიმძლავრის მაქსიმუმ 15%-იანი დატვირთვით, თითქმის იგივე

დანახარჯებით შესაძლებელია მოემსახუროს 6-ჯერ მეტ სტუდენტს, მასშტაბის ეფექტიანობის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტში მარკეტინგზე გაწეული დანახარჯები შეადგენს 0, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ არ ხდება უნივერსიტეტის პოპულარიზაცია და მისი ბრენდის კაპიტალის შექმნა, რის საფუძველზეც მოხდება ბრენდისადმი ლოიალურობის გაზრდა და შესაბამისად სტუდენტთა რაოდენობის ზრდა. სოციალურ ქსელებში რეკლამირება შესაძლებელია განხორციელდეს საკმაოდ იაფადაც. ამასთანავე უნივერსიტეტს ყავს მაღალი დონის აკადემიური პერსონალი, რომლებიც საქართველოშიც და მსოფლიოშიც ცნობილნი არიან თავიანთი მოღვაწეობით, მათი მეშვეობით პროგრამის პოზიციონირება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს, როგორც პროგრამის ასევე უსდ-ს პოპულარიზაციას. თავად უსდ-ს და პროგრამას აქვს მაღლი პოტენციალი, რომ მოიზიდოს აბიტურიენტები ახლოს მდებარე რეგიონებიდან, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის როგორს პროგრამის ასევე უნივერსიტეტის მომგებიანობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ბიბლიოთეკის პერსონალთან, სტუდენტებთან და უნივერისტეტის ადმინისტრაციასთან; • სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტი; • სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბიუჯეტი; • სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესპროცესების უწყვეტობის წესის დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის N09-62 დადგენილება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • გამოიყოს ბიუჯეტში მარკეტინგზე დანახარჯები და შემუშავდეს პროგრამის და უსდ მარკეტინგის სტრატეგია, რათა მოხდეს უნივერსიტეტის პოპულარიზაცია და მისი ბრენდის კაპიტალის შექმნა, რის შედეგადაც გაიზრდება ბრენდისადმი ლოიალურობა, მას კი მოჰყვება სტუდენტთა რაოდენობის და ეკონომიკური შემოსავლების ზრდა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა	✓			

5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა ციკლური პროცესია და მოიცავს "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე" ეტაპებს.ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიში და ხარისხის შეფასების მიზნით თანამშრომლობს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და სტუდენტებთან. აღნიშნული მიზნით სემესტრის და სასწავლო წლისგანმავლობაში, ტარდება პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული გამოკითხვები: სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და აკადემიური და მოწვეული პერსონალის. ამ უკანასკნელთა შემთხვევაში მათ მიერ ხდება

განხორციელებული/წაკითხული სასწავლო კურსების შეფასება. პროგრამის პერსონალი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით, ხარისხის შეფასების შედეგების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით ახორციელებს სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება-მოდიფიცირებას. აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად პროგრამის ხელმძღვანელი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარუდგენს პროგრამის შიდა თვითშეფასების ანგარიშს. ხარისხის სამსახური, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, ზრუნავს თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე. შეფასების პროცესში ჩართულობა ინტერვიუების დროს დადასტურდა სტუდენტების, აკადემიური დამოწვეული პერსონალის მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში • სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პერსონალის და დამსაქმებლების გამოკითხვის ფორმები • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებასაგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების მექანიზმად იყენებს უნივერსიტეტის ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცედურებს.საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია 2014 წელს გაიარა. აკრედიტაციის პროცესში გამოთქმული რეკომენდაციები და რჩევები უნივერსიტეტმა განიხილა და მათი უმრავლესობა შეასრულა. კერძოდ, სავალდებულო საგნების ბლოკი გამდიდრდა ეკონომიკის პროფილის სასწავლო კურსებით და გაიზარდა სპეციალობის არჩევითი საგნების რაოდენობა.

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამამ, ასევე, გაიარა კოლეგიალური შეფასება ეკონომიკის დოქტორთან მაია თეთრუაშვილთან. ექსპერტის აზრით, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსების შინაარსი, მოცულობა და თანმიმდევრობა შესაბამისობაშია სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. მისი რეკომენდაციის გათვალისწინებით გაიზარდა ეკონომიკის პროფილის სასწავლო კურსების რაოდენობა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება პროგრამის გარე შეფასებისთვის, ასევე იყენებს შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზს. შედეგები გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოქმედებს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“ ციკლის შესაბამისად. კერძოდ, წინა შეფასების შედეგების გათვალისწინებით ხდება განსახორციელებელი სამუშაოების გრაფიკის გაწერა, დაგეგმილი საქმიანობით განსაზღვრული მონაცემების შეგროვება და დამუშავება, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება და შეფასების შედეგების ანალიზით გამოვლენილი ნაკლოვანებების მიზეზების დადგენა დარეკომენდაციების შემუშავება.ეს უკანასკნელი წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

ამდენად,უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით სისტემატურად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას. პროგრამის შესაფასებლად გამოიყენება ორი ძირითადი მიდგომა: პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები.არაპირდაპირი მეთოდი გულისხმობს უკუკავშირის სხვადასხვა საშუალების გამოყენებას: სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას.

ამასთან ერთად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაშიყოველი აკადემიური წლის განმავლობაშიხორციელდებაპერსონალის სამეცნიერ-კვლევითი მუშაობისა და პროფესიული განვითარების შეფასება.

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სასწავლო წლის განმავლობაშისაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების გრაფიკი და დადგენილი აქვს ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები. ამგვარად, მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი
- საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის,შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია

• პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი • ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა • სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პერსონალის და დამსაქმებლების გამოკითხვის ფორმები • განხორციელებული შეფასების შედეგები • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 38

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

მანანა ლობჟანიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ეკა გეგეშიძე

ნინო ტალიკაძე